**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**
**ხონის მუნიციპალიტეტის მერი**

ბრძანება:**ბ60. 60252049**

თარიღი:**23/07/2025**

ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის ,,ე.ე“, „ე.ვ“ პუნქტების, 61 - ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის; „ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფის შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების თაობაზე“ ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 15 ივლისის N20 დადგენილების; ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წერილის (რეგ. N:11-602519998-60; 18.07.2025); ა(ა)იპ. ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის თავმჯდომარის წერილის (რეგ. N:10/60252035-60; 22.07.2025) და ხონის მუნიციპალიტეტის მერის დავალების (რეგ. N:60-602519960; 18.07.2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ხონის მუნიციპალიტეტის სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- გერასიმე მჟავანაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე- ჯგუფის თავმჯდომარე.

- გელა ჩოგოვაძე - ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილე.

- თამარ უგულავა - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი - ჯგუფის ადმინისტრატორი.

- ნანა კაკაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწე - ჯგუფის მდივანი.

- ლევან ჩიხლაძე -ხონის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი - ჯგუფის წევრი.

- გიორგი ბარაბაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცის მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის, არქიტექტურის განყოფილების უფროსი - ჯგუფის წევრი.

- მარი რუხაძე - ხონის მუნიციპალიტეტის მერიის სამართლებრივი განყოფილების უფროსი სპეციალისტი - ჯგუფის წევრი.

- მაკა ბუხრაშვილი - ქალაქ ხონში ადმინისტრაციულ ერთეულში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი - ჯგუფის წევრი.

- ბაჩანა ბასილაია - ა(ა)იპ ხონის დევნილთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი - ჯგუფის წევრი.

2. დაევალოს სამუშაო ჯგუფს, ჯგუფის თავმჯდომარის კოორდინაციით, „სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამის“ მომზადების ეტაპზე, განიხილოს ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული საპროექტო განცხადებები და შეამოწმოს მათი სისწორე დებულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლს ვივალებ პირადად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ. N 1).

5. ბრძანება ძალაშია კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი